საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ

1 შესავალი

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

კობა ბოჭორიშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ზურაბ ძლიერიშვილი - კოლეგიის წევრი

კახაბერ წერეთელი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის ნომერი: N043/10

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა და შესაბამისი რეაგირება.

საქმის განხილვის თარიღი: 03.11.2010

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა

ეკატერინე გასიტაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

დავით კაკაბაძე - კოლეგიის წევრი

ლავრენტი ქავთარაძე - კოლეგიის წევრი

დისციპლინური დევნის დაწყების თარიღი: 22.10.2010

დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღი: 03.11.2010

II აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2010 წლის 30 ივნისს, 15, 16 და 20 ივლისს საქართველოს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მითითებული თარიღების შესაბამისად გადმოაგზავნა საჩივრები - #043/10, 048/10, 049/10, 050/10, 051/10, 053/10, 054/10, 055/10 ადვოკატ მ. ნ.-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 განმცხადებელმა საჩივრებს დაურთო მ. ნ.-ის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და სასამართლოსადმი წარდგენილი განცხადებები, რომელთა შინაარსის გამო მოთხოვნილია ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.

1.3 25.06.2010. მ. ნ.-მ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნ. დ.-ს სახელზე დაწერილ განცხადებაში მოითხოვა 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ჩაბარება, რომელიც მისი მოსაზრებით ეფუძნება "ზოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს".

1.4 15.07.2010. კვლავაც მოსამართლე ნ. დ.-ს სახელზე დაწერილ განცხადებაში მ. ნ. წერს: "თქვენ პრობლემები გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო სხდომაზე ავლენთ ნერვული გამოხტომებით. მე ვუფრთხილდები რა თქვენ ჯანმრთელობას, მოგიწოდებთ, რომ თავი შეიკავოთ სასამართლო სხდომაზე აგრესიისაგან და მოთოკოთ ნერვები".

1.5 იმავე დღეს, იმავე მოსამართლეს ადვოკატი მ. ნ. წერს: "თქვენ ბრძანდებით აგრესიული და თავშეუკავებელი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს და იმის გამო, რომ საფრთხეს ვგრძნობ თქვენგან სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას არც კი ვიკადრებ, რადგან ჩემთვის თქვენს წინაშე გამოცხადება არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი....".

1.6 15.07.2010. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ნ. ნ.-ის სახელზე შეტანილ განცხადებაში ადვოკატი მ. ნ. წერს: "გაკვირვებული ვარ თქვენი უცნაური და ავადმყოფური ტონით ჩემდამი, რაც აშკარა უპატივცემულობაა. მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენ ალბათ მიჩვეული ხართ ადვოკატების შეურაცხყოფას, რაც ჩემთან მიმართებაში არ გაგივათ. თქვენთვის დიდი პატივი უნდა იყოს, თქვენს წინაშე რომ გამოვიდე, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება, რომ თქვენთან პროცესზე გამოსვლას არც ვიკადრებ".

1.7 15.07.2010. მოსამართლის ნ. ნ.-ის სახელზე შეტანილ განცხადებაში ადვოკატი მ. ნ. უთითებს: "თქვენთან პროცესზე გამოცხადება ჩემთვის არის შეურაცხმყოფელი, რის გამოც მოგიწოდებთ, რომ დასწრების გარეშე ჩაატაროთ სხდომა და გადმომიგზავნოთ სასამართლო სხდომის ოქმი".

1.8 20.07.2010. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნ. დ.-ს სახელზე დაწერილ განცხადებაში ადვოკატი მ. ნ. ითხოვს გადაწყვეტილების ჩაბარებას და განცხადებაში უთითებს: "...რომელიც აშკარად ზოდვით, ავადმყოფურ და არასერიოზულ და არასამართლებრივ მოსაზრებებს ეფუძნება".

1.9 20.07.2010. მოსამართლის ნ. დ.-საგან ადვოკატი მ. ნ. ითხოვს დადგენილების ჩაბარებას და განცხადებაში უთითებს: "...ჩემი ღრმა რწმენით ეფუძნება ალოგიკურ, ავადმყოფურ და ზოდვით მოსაზრებებს, რაც დაკვეთით არის მიღებული..".

1.10 19.07.2010. განცხადებით ადვოკატი მ. ნ. მიმართავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ნ. ო.-ს და აღნიშნავს: "..რადგან პირადად არ გამოვცხადდები, იმის გამო, რომ თქვენ არ მიმაჩნიხართ იმ მოსამართლედ, რომ ჩემი პროცესზე გამოსვლის პატივი დაგდოთ".

1.11 საჩივრების ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ დაარღვია "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნები და უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატ მ. ნ.-სთან გასაუბრება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, შედგა 2010 წლის 21 ივლისს, რა დროსაც მან წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. გასაუბრებას ასევე ესწრებოდა მისი წარმომადგენელი - შ. დ.. ადვოკატმა თანხმობა გამოთქვა გაერთიანებულიყო მის მიმართ შემოსული ყველა საჩივარი, ვინაიდან ისინი ერთიდაიგივე მოტივაციას და არგუმენტებს შეიცავდნენ და ადვოკატის წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგენს პასუხს ყველა საჩივარზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარია, თუ რას ითხოვს განმცხადებელი, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის წერილში არ არის მითითებული კონკრეტული გარემოებები, თუ რა რეაგირებას ითხოვს იგი ადვოკატის მიერ განცხადებებში გამოთქმულ მოსაზრებებზე. მისი აზრით სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა შეეძლოს კონკრეტული ნორმის მითითება, რომელიც დარღვეული იყო ადვოკატის მიერ.

2.3 ადვოკატის განმარტებით საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: "ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულია: "ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო ხელისუფლების მიუხედავად".

2.4 ადვოკატის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის წერილები, მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, მიაჩნია აბსურდულად და ალოგიკურ მოთხოვნად, რომელიც უკანონოა და აზრის გამოხატვის შეზღუდვას ემსახურება.

2.5 ადვოკატ მ. ნ.-ის განმარტებით, განცხადებებში დაფიქსირებული მოსაზრებები არის მისი აზრის დაფიქსირება და შესაძლოა სუბიექტურიც, რომელიც ემსახურება მხოლოდ იმას, რომ კონკრეტულმა მოსამართლემ გაიგოს მისი, როგორც საზოგადოების ერთი წევრის მოსაზრება მოსამართლეზე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მის განცხადებებში დაფიქსირებული მოსაზრება არანაირ შემხებლობაში არ არის მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან და განცხადებაში დაფიქსირებული აზრი ემსახურება მისი (ადვოკატის) პატივისა და ღირსების დაცვას.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მის განცხადებებს არანაირი შემხებლობა არა აქვთ კლიენტებთან და კონკრეტულ შემთხვევაში მან აშკარად დაინახა საფრთხე მოსამართლისაგან, რადგან მოსამართლე ყვიროდა და ადვოკატი ვალდებული იყო განცხადების დაწერის გზით, დაუყოვნებლივ მოეხდინა რეაგირება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, თითოეული მოქმედება და განცხადება შეთანხმებულია მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან და მათი მყარი პოზიციაა, რომ ადვოკატმა განახორციელოს ის ქმედებები, რაც მას მიაჩნია სწორად და ისე, როგორც მან რეალურად განახორციელა, კლიენტები აბსოლუტურად ეთანხმებიან განცხადებაში დაფიქსირებულ მოსაზრებებს და უფრო მეტიც, ითხოვენ მისგან უფრო მეტ რადიკალიზმს.

2.9 ადვოკატი არ ეთანხმება ეთიკის კომისიაში შემოსულ საჩივრებს და მიაჩნია, რომ იგი მოქმედებდა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლით, ადვოკატსა და სასამართლოს შორის, განსაზღვრულ ურთიერთობების ფარგლებში და რომ მას აქვს მინიჭებული მოქმედი კანონმდებლობით აზრის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისათვის. საჩივრის არსებითად განხილვის შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია, დადასტურდეს ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევა.

3.2 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი წერილობითი განცხადებები შეიცავს ისეთ გამოთქმებსა და შეფასებებს, რომლებიც აშკარად არაკორექტული, უხეში, არაეთიკური ფორმით არის გამოხატული და ადვოკატის პროფესიული საქმიანობისათვის შეუფერებელია. ადვოკატს, როგორც თავისუფალი პროფესიის პირს, შესაძლებლობა აქვს კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები, გააპროტესტოს საპროცესო დოკუმენტები, საკუთარი კლიენტის პოზიციის დასაცავად გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, მკაცრი, თუნდაც დაუნდობელი კრიტიკა, თუმცა, აზრის თავისუფლად გამოხატვის ისეთი ფორმით, რომელიც არის ადეკვატური, შეეფერება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მაღალ სტანდარტს და არ შეურაცხყოფს სამართალწარმოების მონაწილე სხვა პირებს.

3.3 საქართველოს უზენაესი კანონით - კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

3.4 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს, რომელთა შორისაა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა (მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), ამავე კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესით ადვოკატის მოვალეობაა ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

3.5 სპეციალური კანონის მე-6 მუხლი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ადვოკატს უფლებას ანიჭებს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ეს ნორმა ადვოკატს ანიჭებს

უფლებას, თუმცა, იმავდროულად ზღუდავს მას კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლი კი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს შორის, პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე უთითებს (მუხ. 32. პუნქტი 1, ქვეპუნქტი "ბ").

3.6 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ სასამართლოსადმი წარდგენილ განცხადებებში ადვოკატის მიერ გამოხატული იყო აშკარა უპატივცემულობა. კერძოდ: მათში, გამოთქმულია აშკარად შეურაცხმყოფელი და არაეთიკური შეფასებები, კონკრეტულ განცხადებებში მიუღებელი ფორმითაა მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილებები. ადვოკატი მოსამართლისაგან ითხოვს, დაუყოვნებლივ ჩაბარდეს გადაწყვეტილება, რომელიც მისი სიტყვებით ეფუძნება "ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს".

3.7 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის განცხადებით, რომლითაც მოთხოვნილია გადაწყვეტილების ჩაბარება, მის მიერ წინასწარვეა შეფასებული მისი შინაარსობრივი მხარე შემდეგი სიტყვებით: "ეფუძნება ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს", მიზნად ისახავს სასამართლოს შეურაცხყოფას. მოსაზრების ამგვარი გამოხატვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული კოდექსის მიზანს – საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები. ადვოკატის პოზიციის ამგვარი სახით დაფიქსირება ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსს, კერძოდ, ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

3.8 სასამართლოს სახელზე განცხადებებში ადვოკატი მ. ნ. წერს შეურაცხმყოფელ და ადვოკატის პროფესიის მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად მიუღებელ, არაეთიკურ განცხადებებს.

3.9 მ. ნ.-ის განცხადებებში გამოყენებული გამონათქვამები არაკორექტული და არაეთიკურია. კერძოდ, ადვოკატი სხვადასხვა განცხადებებში იყენებს შემდეგ გამონათქვამებს: "გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს...", "თქვენ პრობლემები გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო სხდომაზე ავლენთ ნერვიული გამოხტომებით...", "თქვენ ბრძანდებით აგრესიული და თავშეუკავებელი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს და იმის გამო, რომ საფრთხეს ვგრძნობ თქვენგან სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას არც კი ვიკადრებ...", "გაკვირვებული ვარ თქვენი უცნაური და ავადმყოფური ტონით ჩემდამი, რაც აშკარა უპატივცემულობაა...", "...ჩემი ღრმა რწმენით ეფუძნება ალოგიკურ, ავადმყოფურ და ბოდვით მოსაზრებებს, რაც დაკვეთით არის მიღებული..".

3.10 "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38- ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუზველზე, ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე- 5 მუხლის საფუძველზე, აღიარებულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. ამ ნორმის მიხევით ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ადვოკატმა მ. ნ.-მ განმარტა, რომ მისი განცხადებები არავითარ შემხებლობაში არ არის მის კლიენტებთან, ამ შინაარსის განცხადებების მიზანია, მისი, როგორც საზოგადეობის ერთი

წევრის პირადი მოსაზრებისა და შეხედულების დაფიქისრება კონკრეტული მოსამართლისადმი. ადვოკატი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ სიკეთეზე – სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე უთითებს.

3.11 საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლითა და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უმნიშვნელოვანესი ღირებულება – სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების არსებობის საწინდარი და განვითარების წინაპირობაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის უსაზმნო და აბსოლუტური. განსახილველ შემთხვევაში, დასადგენია საკითხი, მოხდა თუ არა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების მოთხოვნათა უგულებელყოფა. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ საჩივარი უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოების ერთი წევრის, როგორც ამას ადვოკატი აღნიშნავს, მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ ადვოკატის, როგორც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლის, მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ადვოკატის თუნდაც სუბიქტურ შეხედულებას, რომელიც კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ გაჯერებულია სასამართლოსადმი არაეთიკური და მიუღებელი გამონათქვამებით, ვითარების შეუსაბამო და არაადეკვატური ფორმით გამოხატული მოსაზრებებით. ადვოკატთან გასაუბრებისას, იგი დაეთანხმა კოლეგიას, რომ შესაძლებელი იყო საკუთარი უარყოფითი მოსაზრება კონკრეტული მოსამართლის გადაწყვეტილებებსა თუ ქმედებებზე სხვა ფორმითაც გამოეხატა, თუმცა, მან განაცხადა, რომ არჩია წერილობითი განცხადებების სწორედ ასეთი ფორმა და მისი პოზიცია აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებშია.

3.12 ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირი, სპეციალური კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით არის ვალდებული, დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის ურთიერთობას სასამართლოსთან.

3.13 ცხადია, რომ ყოველი კონკრეტული ქცევის წესის დადგენა შეუძლებელია კანონმდებლის მიერ, თუმცა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კოლეგია ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით და საკმარისად მიიჩნევს სასამართლოს მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, რათა შესაძლებლად ჩათვალოს ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

3.14 საპროცესო კოლეგიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ადვოკატს მოეთხოვოს სასამართლოსთან ურთიერთობის უფრო მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მოსამართლის ქმედებისადმი პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით – ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საკითხის განხილვის ინიცირებით, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკით და არა არაადეკვატური, პროფესიული სტანდარტის უგულებელმყოფი გამონათქვამებით.

3.15 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე “Nikula v. Finland” (განაცხადი #31611/96, 2002 წლის 21 მარტი) მიიჩნია, რომ ,,ყოველ კონკრეტულ საქმეში

გადაწყვეტილების მიღებისას ადვოკატების პროფესიის განსაკუთრებული ბუნება უნდა იქნას გათვალისწინებული. ისინი, როგორც სასამართლოს მოხელეები, თავიანთ ქმედებებში გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარებიან, მაგრამ ისინი ასევე სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე წარმოდგენილი არგუმენტები არ შეიძლება შეიზღუდოს". განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი მ. ნ. საპროცესო კოლეგიისადმი მიცემულ ახსნა-განმარტებაში აფიქსირებს, რომ მისი განცხადებები არანაირ შემხებლობაში არ არის კლიენტის ინტერესებთან.

3.16 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,, Kyprianou v. Cyprus" აღნიშნა, რომ ,,ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალურ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი წარმოადგენს შუამავალს ხალხსა და სასამართლოს შორის. მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელების პროცესში და საჯარო ნდობას გაამართლებენ.

3.17 მართალია, ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. მით უფრო, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს."

3.18 ევროპის საბჭოს მინისტრათა კომიტეტის რეკომენდაცია #(2000)21 გვაუწყებს: "ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად". ამავე რეკომენდაციით, როდესაც ადვოკატი არ მოქმედებს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის ქცევის კოდექსით ან კანონმდებლობით, შესაბამისი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული, დისციპლინური პროცედურების ჩათვლით.

III სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის სხდომა ჩატარდა 2010 წლის 03 ნოემბერს 18:00 საათზე.

4.2 სხდომაზე არ გამოცხადდა საჩივრის ავტორის - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელი, რომელსაც წერილობით ეცნობა საქმის განხილვის დრო და წარმომადგენლის ყოლის უფლების შესახებ დისციპლინური წარმოებისას.

4.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ წარმოადგინა წერილობითი პასუხი საქმის მისი წარმომადგენლის დასწრების გარეშე განხილვის შესახებ.

4.4 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხომას არ დაესწრო, აგრეთვე ადვოკატი მ. ნ., რომელსაც სატელეფონო შეტყობინებით და პირადად, უშუალოდ ეცნობა განხილვის

კოლეგიის სხდომის გამართვის დრო. ადვოკატმა მ. ნ.-მ სხდომის გამართვამდე 3 საათით ადრე, ეთიკის კომისიაში, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, წერილობით წარმოადგინა მოსაზრება, რომელიც განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის მიერ დაერთო საქმის მასალებს.

4.5 განხილვის კოლეგიის სხდომას დაესწრო საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარე - ეკატერინე გასიტაშვილი, რომელმაც გამოაქვეყნა და მხარი დაუჭირა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის მიერ 2010 წლის 22 სექტემბრის №043/10 გადაწყვეტილებას ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ.

4.6 ადვოკატმა მ. ნ.-მ, საჩივართან და საპროცესო კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში დააფიქსირა, რომ ეთანხმება მის მიერ საპროცესო კოლეგიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და განხილვის კოლეგიის სხდომაზე კიდევ ერთხელ ახსნა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

4.7 ადვოკატ მ. ნ.-ის მოსაზრებით, საპროცესო კოლეგია იყო ტენდენციური და არაობიექტური. მისი მოსაზრებით, ეთიკის კომისიის წევრების აგრესიულობა და ცინიზმი თვალსაჩინო იყო მისთვის.

4.8 ადვოკატი უკანონოდ მიიჩნევს ეთიკის კომისიის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეჩერების შესახებ, ვინაიდან მისი მოსაზრებით, იგი არ ჯდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეჩერების საფუძვლებში.

4.9 ადვოკატი მიიჩნევს, რომ ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან არაა დაკონკრეტებული და დასაბუთებული, თუ რაში გამოიხატა მის მიერ განცხადებაში მითითებული მოსაზრებების არაკორექტულობა და არაეთიკურობა. ასევე მისი მოსაზრებით, დღეს საქართველოში არ არსებობს სამართლიანი სასამართლო და აღნიშნული საჩივრებით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო მასზე ფაქტიურად ზეწოლას ახორციელებს.

4.10 ადვოკატ მ. ნ.-ის მოსაზრებით, მას სრული უფლება აქვს არ მოწონდეს და ასევე გამოთქვა საკუთარი აზრი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, მათ შორის ისეთი ტერმინოლოგიით, რომელიც მის მიერ გამოყენებული იქნა ზემოთაღნიშნულ განცხადებაში. მისი მოსაზრებით, ზემოთაღნიშნული ციტატები არ არღვევს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს.

4.11 ადვოკატ მ. ნ.-ის მოსაზრებით, საჩივაზე თანდართულ განცხადებებში დაფიქსირებული მოსაზრება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობდა და ემსახურებოდა მათი ინტერესების დაცვას სასამართლოში.

4.12 ადვოკატის მოსაზრებებით, ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ითხოვს მის გაუქმებას.

5. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 ადვოკატი მ. ნ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი 2006 წლიდან, /სიითი №/.

5.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 3 წელი.

5.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ 2010 წლის 30 ივნისს, 15, 16 და 20 ივლისს გადმოგზავნილ №043/10, №048/10, №049/10, №050/10, №051/10, №053/10, №054/10, №055/10 საჩივარზე თანდართული 25.06,10, 15.07.10, 15.07.10, 15.07.10, 15.07.10, 19.07.10, 20.07.10, 20.07.10 განცხადებები შედგენილი და ხელმოწერილია ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ.

5.4 მ. ნ. ადასტურებს და არ უარყოფს განცხადებებს და მასში მოყვანილი მოსაზრებების მისადმი კუთვნილებას.

5.5 ადვოკატ მ. ნ.-ის განცხადებებში გამოხატული მოსაზრებები რის მისი სუბიექტური შეხედულება, რომელიც „ემსახურება მხოლოდ იმას, რომ კონკრეტულმა მოსამართლემ გაიგოს“ ადვოკატის, როგორც საზოგადოების ერთი წევრის აზრი მოსამართლეზე. /ადვოკატის ახსნა-განმარტება - 21.07.2010/.

5.6 ადვოკატის მიერ განცხადებებში დაფიქსირებული მოსაზრებები „არანაირ შემხებლობაში არა რის“ მის კლიენტთან და „განცხადებაში დაფიქსირებული აზრი ემსახურება“ ადვოკატის ღირსებისა და პროფესიის დაცვას. /ადვოკატის ახსნა-განმარტება - 21.07.2010/.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის 2010 წლის 30 ივნისს, 15, 16 და 20 ივლისს გადმოგზავნილი საჩივრები - №043/10, №048/10, №049/10, №050/10, №051/10, №053/10, №054/10, №055/10 და მასზე თანდართული, ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ხელმოწერილი 25.06,10, 15.07.10, 15.07.10, 15.07.10, 15.07.10, 19.07.10, 20.07.10, 20.07.10 განცხადებები.
2. ადვოკატ მ. ნ.-ის 2010 წლის 21 ივლისის ახსნა-განმარტება (1-2 გვ. 1-6 აბზაცი).
3. ადვოკატ მ. ნ.-ის 2010 წლის 03 ნოემბრის მოსაზრება.

6. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

6.1 მ. ნ. მის მიერ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაზე გაკეთებულ ახსნა-განმარტებაში ადასტურებს და არ უარყოფს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეთა მიმართ გაგზავნილი 25.06.10, 15.07.10, 15.07.10, 15.07.10, 15.07.10, 19.07.10, 20.07.10, 20.07.10 განცხადებების და მასში მოყვანილი მოსაზრებების მისდამი კუთვნილებას, მაგრამ მიიჩნებს, რომ განცხადებებში გამოყენებული გამონათქვამები სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში იყო მის მიერ გაჟღერებული და ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას სასამართლოში. /ადვოკატის ახსნა-განმარტება 03.11.10/.

6.2 ადვოკატმა კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხე იგრძნო მოსამართლის მხრიდან, იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლე ყვიროდა, ადვოკატს მიაჩნია, რომ იგი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა რეაგირება განცხადების დაწერით. /ადვოკატის ახსნა-განმარტება - 21..07.2010/.

6.3 ადვოკატს მიაჩნია, რომ მის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი განცხადებები „არის კლასიკური ნიმუში აზრის გამოხატვის თავისუფლებისა“. საქართველოს კონსტიტუცია, როგორც უზენაესი კანონი, უფლებას აძლევს ადვოკატ მ. ნ.-ს, გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, მათ შორის მოსამართლის მიმართ. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს აზრის და სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას. /ადვოკატის ახსნა-განმარტება - 21.07.2010/.

6.4 ადვოკატს მიაჩნია, რომ სასამართლო მასზე ახორციელებს ზეწოლას, რათა დაშანტაჟების შედეგად ხელი შეეშალოს პროფესიულ საქმიანობაში. /ადვოკატის ახსნა-განმარტება - 21.07.2010/

6.5 ადვოკატის განცხადებით, მისი თითოეული მოქმედება და განცხადება შეთანხმებულია მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან, ისინი აბსოლუტურად ეთანხმებიან ადვოკატს და მეტ რადიკალიზმს მოითხოვენ მისგან. /ადვოკატის ახსნა-განმარტება - 21.07.2010/.

6.6 განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადაოდ, რადგან სასამართლოსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

6.7 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ეთიკის კომისიისათვის წარდგენილი მტკიცებულებები, ადვოკატის განცხადებები სასამართლოსადმი, რომელიც შედგენილია ადვოკატის მიერ და წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას, არ ყოფილა უარყოფილი მის მიერ და საჩივარში მოყვანილი გარემოებების გაქარწყლება არ მომხდარა სხვა სახის მტკიცებულებებით.

6.8 ადვოკატის ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, თუ სახეზე იყო მოსამართლის მხრიდან პროცესულაური პაექრობის ფარგლების გაცდენა და ადვოკატის საქმიანობის არაეთიკურად შეფასება, ხოლო ადვოკატის მოქმედება (განცხადებებში მოსამართლეთა მიმართ გამოყენებული გამონათქვამები) წარმოადგენდა მასზე საპასუხო და ადეკვატურ რეაქციას, კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსამართლის შესაძლო არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ადვოკატს შეეძლო მიემართა კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური საჩივრის წარდგენის მექანიზმისათვის, რაც მის მიერ არ ყოფილა გამოყენებული.

6.9 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მერ მოსამართლეთა მიმართ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არ იყო განპირობებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ქმედება და არ წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ დაცვის პროცესუალურ საშუალებას.

6.10 კოლეგიას მიაჩნია, სასამართლო პროცესზე ადვოკატის გამოუცხადებლობა საკუთარი, პირადი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო მოსამართლეთა მიმართ წარმოადგენს დაცვის უფლების განუხორციელებლობას და მასზე უარის თქმას. მხარეს და მხარესთან შეთანხმებით მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს იმ დოზით, რა ფარგლებშიც მას ეს მიაჩნია მიზანშეწონილად. აღნიშნული უფლება მხარის „ფაკულტატურულ“ ვალდებულებას წარმოადგენს, მაგრამ ამ უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გარეშე. ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ

შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი გამონათქვამების გარეშე.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოისმინა საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებები და მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები, ასევე მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი ადგენს, რომ ადვოკატი ვალდებულია ყოვეთვის იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ დააყენოს ისინი სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს სასამართლოს წინაშე ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს.

8.2 საქართველოს უზენაესი კანონით - კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

8.3 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს, რომელთა შორისაა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატს ულებას ანიჭებს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით, ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ეს ნორმა ადვოკატს ანიჭებს უფლებას, კლიენტის კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესუალური საშუალებების გამოყენებით, კანონისმიერი ფორმით დაიცვას კლიენტის ინტერესები, მაგრამ დაცვა უნდა განხორციელდეს კანონის და ეთიკის კოდექსის ფარგლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა წარმოადგენს (მუხ. 32. პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“).

8.4 კოლეგიას მიაჩნია, რომ სასამართლოსადმი წარდგენილ განცხადებებში, ადვოკატის მიერ აშკარა უპატივცემულობა არის გამოხატული. კერძოდ, მათში გამოთქმულია აშკარად შეურაცხყმყოფელი და არაეთიკური შეფასებები, ასევე მიუღებელი ფორმითაა მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილებები. ადვოკატი მოსამართლისაგან ითხოვს,

დაუყოვნებლივ ჩაბარდეს გადაწყვეტილება, რომელიც მისი სიტყვით, ეფუძნება „ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს“. დაცვის უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გარეშე. ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი არაეთიკური გამონათქვამების გარეშე.

8.5 კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია გადაწყვეტილების ჩაბარება რომლის შინაარსიც მან არ იცის, იგი წინასწარვე აფასებს გადაწყვეტილების შინაარსობრივ მხარეს შემდეგი სიტყვებით „ეფუძვნება ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს“, მიზნად ისახავს სასამართლოს შეურაცხყოფას. მოსაზრების ამგვარი გამოხატვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მიზანს - საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები. ადვოკატის პოზიციის ამგვარი სახით დაფიქსირება ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსს. კერძოდ, ადვოკატის ვალდებულებას - შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

8.6 სასამართლოს სახელზე მიმართულ განცხადებებში, ადვოკატი მ. ნ. წერს შეურაცხმყოფელ და ადვოკატის პროფესიის მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად მიუღებელ არაეთიკურ განცხადებებს.

8.7 ადვოკატის მიერ განცხადებებში გამოყენებული გამონათქვამები არაკორექტული და არაეთიკურია. კერძოდ, ადვოკატი სხვადასხვა განცხადებები იყენებს შემდეგ გამონათქვამებს: „გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს...“, „თქვენ პრობლემები გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშრებით, რასაც სასამართლო სხდომაზე ავლენთ ნერვიული გამოხტომებით...“, „თქვენ ბრძანდებით აგრესიული და თავშეუკავებელი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს და იმის გამო, რომ საფრთხეს ვგრძნობ თქვენგან, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას არც კი ვიკადრებ...“ „გაკვირვებული ვარ თქვენი უცნაური და ავდმყოფური ტონით ჩემდამი, რაც აშკარა უპატივცემულობაა...“ „...ჩემი ღრმა რწმენით ეფუძვნება ალოგიკურ, ავადმყოფურ და ბოდვით მოსაზრებებს, რაც დაკვეთით არის მიღებული...“.

8.8 ადვოკატის განმარტებიდან გამომდინარე, თუ სახეზე იყო მოსამართლის მხრიდან პროცესუალური პაექრობის ფარგლების გაცდენა და ადვოკატის საქმიანობის არაეთიკურად შეფასება, ხოლო ადვოკატის მოქმედება (განცხადებებში მოსამართლეთა მიმართ გაკეთებული გამონათქვამები) წარმოადგენდა მასზე საპასუხო და ადეკვატურ რეაქციას, მაშინ აღნიშნული რეაქცია ადვოკატის მხრიდან სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ არაკორექტული განცხადებით არ შეიძლება ყოფილიყო გამოხატული. კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ადვოკატს მოსამართლის შესაძლო არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით, შეეძლო მიემართა კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური საჩივრის წარდგენის მექანიზმისათვის, რაც მის მიერ არ ყოფილა გამოყენებული, ხოლო შეურაცხმყოფელი განცხადებებით პოზიციის ან საკუთარი პროტესტის დაფიქსირება არ მიიჩნევა კანონმდელობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული დაცვის კანონიერ საშუალებად.

8.9 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს, ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის საფუძველზე, აღიარებულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. ამ ნორმის მიხედვით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ადვოკატმა მ. ნ.-მ განმარტა, რომ მისი განცხადებები არავითარ შემხებლობაში არ არის მის კლიენტებთან, ამ შინაარსის განცხადებების მიზანია მისი, როგორც საზოგადოების ერთი წევრის პირადი მოსაზრებისა და შეხედულების დაფიქსირება კონკრეტული მოსამართლისადმი.

8.10 ადვოკატი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ სიკეთეზე - სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე უთითებს. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის მიერ მოსამართლეების მიმართ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არ იყო განპირობებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ქმედება და არ წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ დაცვის პროცესუალურ საშუალებას. კოლეგიას მიაჩნია, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატის გამოუცხადებლობა (რასაც იგი განცხადებაში აფიქსირებს), საკუთარი, პირადი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო მოსამართლეთა მიმართ, წარმოადგენს დაცვის უფლების განუხორციელებლობას და მასზე უარის თქმას. მხარეს და მხარესთან შეთანხმებით მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს იმ ფარგლებში, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, მაგრამ ამ უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთების გარეშე. ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი გამონათქვამების გარეშე.

8.11 საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლითა და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უმნიშვნელოვანესი ღირებულება - სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების არსებობის საწინდარი და განვითარების წინაპირობაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის უსაზმნო და აბსოლუტური. განსახილველ შემთხვევაში, დასადგენია, მოხდა თუ არა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების მოთხოვნათა უგულებელყოფა.

8.12 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ საჩივარი უკავშრდება არა მხოლოდ საზოგადოების ერთი წევრის, როგორც ამას ადვოკატი აღნიშნავს, მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ ადვოკატის, როგორც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, სუბიექტურ შეხედულებას, რომელიც კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ გაჯერებულია სასამართლოსადმი არაეთიკური და მიუღებელი გამონათქვამებით, ვითარების შეუსაბამო და არაადეკვატური ფორმით გამოხატული მოსაზრებებით.

ადვოკატთან გასაუბრებისას, იგი დაეთანხმა კოლეგიას, რომ შესაძლებელი იყო საკუთარი უარყოფითი მოსაზრება კონკრეტული მოსამართლის გადაწყვეტილებებსა თუ ქმედებებზე სხვა ფორმითაც გამოეხატა, თუმცა, მან განაცხადა, რომ არჩია წერილობითი განცხადებების სწორედ ასეთი ფორმა და მისი პოზიცია აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებშია მოქცეული.

8.13 ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირი, სპეციალური კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის ურთიერთობას სასამასრთლოსთან. ცხადია, რომ ყოველი კონკრეტული ქცევის წესის დადგენა შეუძლებელია კანონმდებლის მიერ, თუმცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კოლეგია ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით და საკმარისად მიიჩნევს სასამართლოს მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, რათა შესაძლებლად ჩათვალოს ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

8.14 კოლეგიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს სასამართლოსთან ურთიერთობის უფრო მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტლებისა და მოსამართლის მოქმედებებისადმი პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით - ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საკითხის განხილვის ინიცირებით, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკით, თუმცა არა არაადეკვატური, პროფესიული სტანდარტის უგულებელმყოფელი გამონათქვამებით.

8.15 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე “Nikula v. Finland” (განაცხადი №31611/96, 2002 წლის 21 მარტი) მიიჩნია, რომ „ყოველ კონკრეტულ საქმეში გადაწყვეტლების მიღებისას, ადვოკატის პროფესიის განსაკუთრებული ბუნება უნდა იქნას გათვალისწინებული. ისინი, როგორც სასამართლოს მოხელეები, თავიანთ ქმედებებში გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარებიან, მაგრამ ისინი ასევე სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი არგუმენტები არ შეიძლება შეიზღუდოს“. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი მ. ნ. განმარტავს, რომ მისი განცხადებები არანაირ შემხებლობაში არ არის კლიენტის ინტერესებთან.

8.16 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში “Kyprianou v. Cyprus” (განაცხადი №73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა, რომ „ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალულ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი წარმოადგენს შუამავალს ხალხსა და სასამართლოს შორის. მათ მიმართ არებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელების პროცესში და საჯარო ნდობას გაამართლებენ. მართალია, ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. მით უფრო, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ

არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს.“

8.17 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „Muller v. Switzerland” (განაცხადი №10737/84; 1088 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „ყველა, ვინც ახორციელებს გამოხატვის თავისუფლებას, თავის თავზე იღებს „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“, რომელთა ფარგლები დამოკიდებულია მის მდგომარეობასა და გამოყენებულ საშუალებებზე. ზემოხსენებული „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ მთავარ მიზანს წარმოადგენს, არ დაუშვას პირის მიერ კონვენციით დაცული პრინციპების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. ამ უფლების საფარქვეშ პირმა არ უნდა განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც შეუსაბამო იქნება კონვენციის ტექსტსა და სულისკვეთებასთან. თუ მათ ეს თავისუფლება მიენიჭათ, ეს ხელს შეუწყობს კონვენციაში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.“ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ მ. ნ.-ს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას ეკისრება ადვოკატის პროფესიიდან გამომდინარე არსებული „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების დაცვას გულისხმობს.

8.18 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში R.S and Z. v Switzerland (განაცხადი №10414/83; 1084 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა, რომ „ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანს წარმოადგენს ქმედითი საადვოკატო სისტემის უზრუნველყოფა, რომელმაც წვლილი უნდა შეიტანოს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია, როდესაც საკითხი შეეხება ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ზოგადად არ უკრძალავს გამოხატოს თავისი აზრი, არამედ ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს ზიანი მიადგეს და ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ, სასამართლოსადმი მიწერილი განცხადებები არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის დაცვის სტანდარტებს, რადგან შეიცავს ადვოკატის სუბიექტურ, არაგონივრულ და შეურაცხმყოფელ მოსაზრებებს სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც თავის მხრივ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობასა და ეთიკურობას.

8.19 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(2000)21 გვაუწყებს - „ადვოკატებმა პატივი უნდასცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად“. ამავე რეკომენდაციით, როდესაც ადვოკატი არ მოქმედებს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის ქცევის კოდექსით, ან კანონმდებლობით, შესაბამისი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული, დისცპლინური პროცედურების ჩათვლით.

8.20 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის - მ. ნ.-ის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი წერილობითი განცხადებები შეიცავს ისეთ გამოთქმებსა და შეფასებებს, რომლებიც აშკარად არაკორექტული, უხეში, არაეთიკური ფორმით არის გამოხატული და ადვოკატის პროფესიული საქმიანობისათვის შეუფერებელია. ადვოკატის გამონათქვამები არ წარმოადგენს სიტყვის, აზრის გამოხატვის, გამოხატვის თავისუფლების უფლების ფარგლებში განხორციელებულ უფლებას, რადგან კონვენციითა და კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზება არ უნდა განხორციელდეს სხვა პირთა უფლების შეზღუდვის ხარჯზე.

8.21 ადვოკატს, როგორც თავისუფალი პროფესიის პირს, შესაძლებლობა აქვს კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები, გააპროტესტოს საპროცესო დოკუმენტები, საკუთარი კლიენტის პოზიციის დასაცავად გამოიყენოს კანონის გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, მკაცრი, თუნდაც დაუნდობელი კრიტიკა, თუმცა აზრის თავისუფლად გამოხატვა ისეთი ფორმით, რომელიც არის ადეკვატური, არ შეეფერება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მაღალ სტანდარტს და შეურაცხყოფს სამართალწარმოების მონაწილე სხვა პირებს. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტის ინტერესები და წარმოადგინოს იგი სასამართლოში. კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მოქმედება და შეფასებები არ ემსახურებოდა კლიენტის ინტერესებს და მიმართული იყო მათი ინტერესის წინააღმდეგ.

IV სარეზოლუციო ნაწილი

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით, მე-19, 24-ე მუხლებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლისთ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით და ამავე კანონის მე-5, მე-9 მუხლებით, ასევე 34-ე მუხლის „ა“ პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი, მე-5, მე-9 მუხლის პირველი ნაწილითა და მე-11 მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ პირველი და მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლების საფუძველზე და მე-9 მუხლის საფუძველზე:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნას მხედველობაში ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 და მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტი.
2. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატს - მ. ნ.-ს /სიითი №/, „დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განესაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/

კოლეგიის წევრი: /კახაბერ წერეთელი/